

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	11
6. თვითღირებულება.....	11
7. სხვა საოპერაციო შემოსულობები	11
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	11
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
10. ფინანსური შემოსულობები	12
11. ფინანსური ხარჯი	12
12. საკურსო ზარალი, ნეტო.....	12
13. ძირითადი საშუალებები.....	13
14. საინვესტიციო ქონება	14
15. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
17. გაცემული სესხები	15
18. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
19. კაპიტალი	15
20. მიღებული სესხები.....	16
21. საგადასახადო ვალდებულებები.....	17
22. სავაჭრო ვალდებულებები.....	17
23. პირობითი ვალდებულებები	17
24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	18
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	21
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	22
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	23
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფაბრიკა 1900-ის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფაბრიკა 1900-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, მარაგების და ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურით ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-26 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა

შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ფაბრიკა 1900“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	22,223	15,084
თვითღირებულება	6	(13,959)	(10,480)
საერთო მოგება		8,264	4,604
სხვა საოპერაციო შემოსულობები	7	76	110
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(897)	(625)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(2,344)	(2,449)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(126)	(9)
საოპერაციო მოგება		4,973	1,631
ფინანსური შემოსულობები	10	113	58
ფინანსური ხარჯი	11	(741)	(484)
საკურსო ზარალი, ნეტო	12	(476)	(330)
მოგება დაბეგვრამდე		3,869	875
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,869	875

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ლევან ჩიკვილაძე
დირექტორი

ნათია ბოლქვაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	7,371	4,714	2,825
საინვესტიციო ქონება	14	1,489	1,237	1,269
არამატერიალური აქტივები		12	12	13
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,872	5,963	4,107
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	15	2,039	1,268	952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	6,113	2,617	1,981
გაცემული სესხები	17	-	583	901
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	2,709	1,594	76
სულ მიმდინარე აქტივები		10,861	6,062	3,910
სულ აქტივები		19,733	12,025	8,017
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	19	270	270	734
საემისიო კაპიტალი	19	1,379	1,379	1,379
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	19	1,965	727	(150)
სულ კაპიტალი		3,614	3,614	2,376
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	20	9,079	5,143	3,653
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,079	5,143	3,653
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	20	3,596	3,087	1,459
საგადასახადო ვალდებულებები	21	236	357	193
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	3,208	1,062	749
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,040	4,506	2,401
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,733	12,025	8,017

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	734	1,379	(150)	1,963
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 19)	(463)	-	-	(463)
მეწილეებთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგი	-	-	1	1
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	875	875
31 დეკემბერი 2018	271	1,379	726	2,376
მეწილეებთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგი	-	-	(249)	(249)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	(2,382)	(2,382)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	3,869	3,869
31 დეკემბერი 2019	271	1,379	1,964	3,614

შპს „ფაბრიკა 1900“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	3,869	875
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	431	273
ფინანსური ხარჯი	741	484
ფინანსური შემოსავალი	(113)	(58)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	53	134
საკუროს სხვაობების ეფექტი	476	329
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	5,457	2,037
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(771)	(316)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(3,548)	(770)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	(121)	164
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,091	251
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	3,108	1,366
გადახდილი პროცენტი	(743)	(398)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,365	968
საინვესტიციო აქტივობები		
კაპიტალის შემცირება	(249)	(463)
გაცემული სესხის დაფარვა	569	306
მიღებული პროცენტი	126	72
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	140	129
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(3,480)	(2,256)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,894)	(2,212)
ფინანსური აქტივობები		
სესხის აღება	8,049	12,643
სესხის დაფარვა	(4,115)	(9,833)
დივიდენდის გაცემა	(2,382)	-
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	1,552	2,810
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	1,023	1,566
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,594	76
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	92	(48)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,709	1,594

1. კორპორატიული ინფორმაცია

ფაბრიკა 1900 (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 6 ივლისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405157128.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, წარმოადგენს გოფრირებული მუყაოს ყუთების წარმოება და მისი რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ., კორ. 2, ბ. 7.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეებს წარუადგენდნენ:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ISL CAUCASUS, 404921411 - 50%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლეგი ჯგუფი, 218063798 - 50%

შპს ISL CAUCASUS-ის მეწილეები არიან ფიზიკური პირები რომლებიც ფლობენ კომპანიის თანაბარ 25%-იან წილს. შპს ლეგი ჯგუფის მფლობელები ასევე არიან ფიზიკური პირები. არც ერთი მეწილე პირდაპირ ან ირიბად არ წარმოადგენს მაკონტროლებელ მხარეს კომპანიაში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბრის მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. როგორც ეს განმარტებულია 25-ე შენიშვნაში კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა კორონა ვირუსის Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-30
მანქანა დანადგარები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	10-15
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება პირდაპირი მასალისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯები. აგრეთვე მიკუთვნებული მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები. წარმოების შედეგად ნორმის ფარგლებში მიღებული მაკულატურა ფასდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით და აკლდება წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებას. ზენორმატიული მაკულატურა საბოლოოდ ფასდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, ხოლო თვითღირებულებას (ერთეული მზა პროდუქციის თვითღირებულება) და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება ხარჯად მაკულატურის წარმოქმნის მომენტში. შემდგომში ამგვარი მაკულატურის რეალიზაციიდან შემოსავლები და ხარჯები აღარ აღიარდება. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას. როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით დაკლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესაბამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2019	2018
ალკოჰოლური სასმელების ყუთები	9,886	5,174
სამირეები, საფენები, ჩანართები	5,725	3,063
საკვები პროდუქტები	2,039	1,916
საკონდიტრო ყუთები	1,382	1,688
წყლებისა და წვენების ყუთები	678	1,093
სანაყინე ჭიქები და ყუთები	678	710
მაკულატურა	343	360
სხვა	1,492	1,080
სულ	22,223	15,084

6. თვითღირებულება

	2019	2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება	(13,630)	(10,174)
მაკულატურის თვითღირებულება	(329)	(306)
სულ	(13,959)	(10,480)

7. სხვა საოპერაციო შემოსულობები

	2019	2018
შემოსულობა მომსახურებიდან	50	16
შემოსულობა გრანტებიდან	15	33
სხვა საოპერაციო შემოსულობა	11	61
სულ	76	110

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2019	2018
დამხმარე მასალების ხარჯი	(372)	(228)
ტრანსპორტირების ხარჯი	(256)	(160)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(215)	(170)
საწვავის ხარჯი	(31)	(49)
სხვა	(23)	(18)
სულ	(897)	(625)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,566)	(1,963)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(147)	(74)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(125)	(69)
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები	(76)	-
საექვო და უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	(53)	(134)
კომუნალური ხარჯები	(48)	(49)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(29)	(10)
სხვა დანახარჯები	(300)	(150)
სულ	(2,344)	(2,449)

10. ფინანსური შემოსულობები

ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს.

2019 წელს საბანკო ანგარიშზე დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 103 ლარი, ხოლო სხვა საპროცენტო შემოსავალმა კი 9 ლარი (2018 წელს მხოლოდ სხვა საპროცენტო შემოსავალი).

11. ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი წამოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისა და ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

2019 წელს, კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს საბანკო სესხებზე დარიცხულ პროცენტს 731 ლარის ოდენობით. 2018 წელს, ფინანსური ხარჯი მოიცავს საბანკო სესხებზე დარიცხულ პროცენტს 397 ლარის და ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს 3 ლარის ოდენობით.

12. საკურსო ზარალი, ნეტო

	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	92	(48)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	-
გაცემული სესხები	(1)	(2)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(55)	(62)
სასესხო ვალდებულებები	(513)	(222)
სულ	(476)	(330)

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
1 იანვარი 2018	251	22	1,954	524	49	48	92	2,940
შემოსვლა	-	72	581	1,529	42	30	3	2,257
გასვლა	-	(94)	-	(39)	(1)	-	-	(134)
31 დეკემბერი 2018	251	-	2,535	2,014	90	78	95	5,063
შემოსვლა	-	507	680	1,705	184	108	10	3,194
გასვლა	-	-	(43)	(90)	-	(35)	(2)	(170)
31 დეკემბერი 2019	251	507	3,172	3,629	274	151	103	8,087
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2018	-	-	(52)	(43)	(7)	(3)	(10)	(115)
ცვეთის ხარჯი	-	-	(70)	(143)	(9)	(6)	(10)	(238)
გასვლა	-	-	-	4	-	-	-	4
31 დეკემბერი 2018	-	-	(122)	(182)	(16)	(9)	(20)	(349)
ცვეთის ხარჯი	-	-	(114)	(248)	(17)	(9)	(10)	(398)
გასვლა	-	-	4	21	-	6	-	31
31 დეკემბერი 2019	-	-	(232)	(409)	(33)	(12)	(30)	(716)
საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2018	251	22	1,902	481	42	45	82	2,825
31 დეკემბერი 2018	251	-	2,413	1,832	74	69	75	4,714
31 დეკემბერი 2019	251	507	2,940	3,220	243	139	73	7,371

კომპანია ფლობს გარკვეულ ძირითად საშუალებებს, რაც ჩადებულია აღებული სესხის უზრუნველყოფაში და დატვირთულია იპოთეკით. სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,416 ლარს.

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ საინვესტიციო ქონება
1 იანვარი 2018	352	948	1,300
შემოსვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	352	948	1,300
შემოსვლა	284	-	284
31 დეკემბერი 2019	636	948	1,584
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018	-	(31)	(31)
ცვეთის ხარჯი	-	(32)	(32)
31 დეკემბერი 2018	-	(63)	(63)
ცვეთის ხარჯი	-	(32)	(32)
31 დეკემბერი 2019	-	(95)	(95)
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018	352	917	1,269
31 დეკემბერი 2018	352	885	1,237
31 დეკემბერი 2019	636	853	1,489

15. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნედლეული	1,559	907	546
დაუმთავრებელი წარმოება	233	175	272
მზა პროდუქცია	217	117	66
სხვა მარაგი	30	69	68
სულ	2,039	1,268	952

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,052	2,383	1,190
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,215	39	789
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	97	362	81
სხვა მოთხოვნები	21	52	6
სულ მოთხოვნები გაუფასურებამდე	6,385	2,836	2,066
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	(272)	(219)	(85)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	6,113	2,617	1,981

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უიმედო და საექვო მოთხოვნებზე შექმნილ რეზერვებზე მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	სავაჭრო მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	სულ
1 იანვარი 2018	(70)	(15)	(85)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	(103)	(31)	(134)
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(173)	(46)	(219)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	(63)	10	(53)
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(236)	(36)	(272)

17. გაცემული სესხები

სესხი გაცემული იყო დაკავშირებულ მხარეზე რელევანტური ბაზრისთვის შესაბამისი პირობებით, სესხის ძირი და დარიცხული პროცენტი სრულად დაიფარა 2019 წლის განმავლობაში.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,615	1,501	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	94	91	64
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	2	12
სულ	2,709	1,594	76

19. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და 2019 წლის ბოლოს შეადგენდა 270 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

2019 წლის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება ხდებოდა პერიოდულად, ჯამში გამოცხადდა და გაიცა 2,382 ლარის ოდენობის დივიდენდი.

კომპანიამ 2019 წელს კაპიტალი შეამცირა დამფუძნებლისგან შეძენილი ძირითადი საშუალების საბაზრო და გარიგების ფასს შორის სხვაობით მიღებული ზარალით, რამაც შეადგინა 249 ლარი.

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები:

ბანკი	ვალუტა	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საქართველოს ბანკი	EUR	28-12-18	25-12-23	4,106	5,102	-
საქართველოს ბანკი	EUR	28-02-19	25-02-26	2,551	-	-
საქართველოს ბანკი	GEL	27-08-19	27-08-26	1,232	-	-
საქართველოს ბანკი	EUR	29-11-19	25-11-22	168	-	-
საქართველოს ბანკი	EUR	27-08-19	27-08-26	1,022	-	-
საქართველოს ბანკი	USD	05-05-17	15-05-20	-	-	961
საქართველოს ბანკი	USD	03-11-16	03-11-26	-	-	1,586
საქართველოს ბანკი	USD	03-11-16	03-11-26	-	-	333
საქართველოს ბანკი	USD	30-11-17	25-11-22	-	-	420
საქართველოს ბანკი	USD	30-11-17	25-11-22	-	-	284
თიბისი ლიზინგი	USD	16-03-17	16-02-21	-	41	69
				9,079	5,143	3,653

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი:

ბანკი	ვალუტა	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საქართველოს ბანკი	EUR	28-12-18	25-12-23	1,220	1,088	-
საქართველოს ბანკი	EUR	28-02-19	25-02-26	489	-	-
საქართველოს ბანკი	GEL	27-08-19	27-08-26	255	-	-
საქართველოს ბანკი	EUR	29-11-19	25-11-22	76	-	-
საქართველოს ბანკი	EUR	27-08-19	27-08-26	144	-	-
საქართველოს ბანკი	USD	05-05-17	15-05-20	-	-	587
საქართველოს ბანკი	USD	03-11-16	03-11-26	-	-	141
საქართველოს ბანკი	USD	03-11-16	03-11-26	-	-	31
საქართველოს ბანკი	USD	30-11-17	25-11-22	-	-	91
საქართველოს ბანკი	USD	30-11-17	25-11-22	-	-	61
თიბისი ლიზინგი				-	32	28
				2,184	1,120	939

მოკლევადიანი სესხები

სესხის გამცემი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საქართველოს ბანკი	EUR	1,412	1,344	-
საქართველოს ბანკი	USD	-	-	520
სესხი ფიზიკური პირებისგან	USD	-	21	-
ვალდებულება ფაქტორინგიდან	GEL	-	602	-
		1,412	1,967	520
სულ მოკლევადიანი სესხები		3,596	3,087	1,459

უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6%-დან 8%-მდე, ხოლო ლარში მიღებულ სესხებზე შეადგენს 12%-ს.

21. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღიარდება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

22. საფაქრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,129	925	657
მიღებული ავანსები	42	133	88
გადასახდელი ხელფასები	36	3	4
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1	1	-
სულ	3,208	1,062	749

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

შპს „ფაბრიკა 1900“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს „ISL CAUCASUS“	მშობელი საწარმო	-	-	8
შპს "ლეგი ჯგუფი"	მშობელი საწარმო	-	864	967
შპს "ოფისელი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	12	29	7
შპს "ენ-ბი-სი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	85	52	-

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	კავშირის სახე	2019	2018
შპს "ლეგი ჯგუფი"	მშობელი საწარმო	9	63
შპს "ოფისელი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6	29
შპს "ენ-ბი-სი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	120	71

შეძენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	კავშირის სახე	2019	2018
შპს „ISL CAUCASUS“	მშობელი საწარმო	1	3
შპს "ლეგი ჯგუფი"	მშობელი საწარმო	1,171	562
შპს "ოფისელი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	14	13
შპს "ენ-ბი-სი"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	19	22

ოპერაციები მენეჯმენტთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	850	511

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე პანდემიის პერიოდში კომპანიას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და შეძლო მომგებიანობის შენარჩუნება 2020 წლის განმავლობაში, ამდენად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,395 ლარის ოდენობით.

შპს „ფაბრიკა 1900“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ფაბრიკა 1900 (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ლევან ჩიკვილაძე, რომელსაც ნიშნავს ცხრა წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გოფირებული მუყაოს ყუთების წარმოება და მისი რეალიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული საქმიანობა, უმნიშვნელო გამოწვევების გარდა, კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარი წყაროა.

შპს „ფაბრიკა 1900“-ის პროდუქცია ძირითადად ქართულ ბაზარზე იყიდება, თუმცა კომპანიას ასევე ექსპორტის გზით რეალიზაციის გამოცდილებაც აქვს.


კომპანიის მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი იურიდიული პირია.

კომპანიის შემოსავლები პროდუქტების მიხედვით შემდეგია:

	2019	2018
ალკოჰოლური სასმელების ყუთები	9,886	5,174
სადირები, საფენები, ჩანარები	5,725	3,063
საკვები პროდუქტები	2,039	1,916
საკონდიტრო ყუთები	1,382	1,688
წყლებისა და წველების ყუთები	678	1,093
სანაყინე ჭიქები და ყუთები	678	710
მაკულატურა	343	360
სხვა	1,492	1,080
სულ	22,223	15,084

კომპანიის სტრუქტურა

დღეის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 131 თანამშრომელი, მათ შორის 42 ქალია.




შპს „ფაბრიკა 1900“ ინვესტიციებს სხვა კომპანიებში არ ფლობს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის მდგომარეობით კომპანიის შემოსავალი 22,223 ლარია, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემს 47,3%-ით აჭარბებს. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მატება ძირითადად წარმოების მოცულობის ზრდითა და ნაწილობრივ ფასების ცვლილებით არის განპირობებული.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2019	2018
სულ შემოსავალი	22,223	15,084
სულ აქტივები	19,733	12,025
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	132	128
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Qurent Ratio)	1.54	1.35
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1.25	1.06
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	83.88	36.98
დებიტორების ბრუნვა (დღე)	100.41	63.33
მარაგების ბრუნვა (დღე)	33.14	44.15
უკუგება კაპიტალზე	1.07	0.37

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ფაბრიკა 1900-ის“ თანამშრომელთა რაოდენობა წლის განმავლობაში 120-დან 140-მდე მერყეობდა. შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება-დასაქმების მიზნით, კომპანიას აქვს შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა.

როგორც დამქირავებელი, შპს „ფაბრიკა 1900“, თანამშრომლებს განვითარებაზე ორიენტირებულ საკვალიფიკაციო ტრენინგებს მუდმივად სთავაზობს.

კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები, ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობით უდგებიან არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტებისა და პროცედურების დაცვა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის პარტნიორები

შპს ფაბრიკა 1900 ქაღალდისა და მუყაოს მწარმოებელ ტრეიდერულ კომპანიებთან თანამშრომლობს.

ახალი, განსხვავებული და დიდი სიმძლავრეების მქონე საწარმოს ამოქმედებით კომპანიას პარტნიორებთან ურთიერთობის სხვა ეტაპზე გადასვლის საშუალება ეძლევა, რაც გულისხმობს უკეთესი, ოპტიმალური პირობებით მომწოდებლებთან თანამშრომლობას, მათ შორის ახალი შესაძლებლობების მოძიებას, რაც პირველ რიგში გააუმჯობესებს მიწოდების პირობებს, მარაგების უწყვეტობას და ნედლეულის ხარისხს.

კომპანიის მომხმარებელთა დიდ ნაწილს წარმოადგენს მეღვინეობისა და საკონდიტრო სეგმენტში არსებული ქართული მსხვილი საწარმოები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ფაბრიკა 1900-ის მიზანია, განვითარებისა და შედეგზე ორიენტირებული ქმედებების საშუალებით, გრძელვადიან პერსპექტივაში გაზარდოს კომპანიის ღირებულება, მომხმარებელს მიაწოდოს ეკოლოგიურად სუფთა, 100%-ით ბიოდეგრადირებადი, უმაღლესი ხარისხის შესაფუთი პროდუქცია და წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკისა და კერძოდ, შეფუთვის სექტორის განვითარებაში.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

ბაზრის ახალ სეგმენტებზე გასვლისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდის მიზნით კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს ხელსაყრელი კომერციული პირობები შესთავაზოს.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

ტექნოლოგიების დანერგვა გულისხმობს სიახლეების შემუშავებასა და გამარტივებული სტანდარტებით მუშაობის უზრუნველყოფას, რაც წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებას მომხმარებლებისთვის ბევრად მიმზიდველს ხდის, ამიტომ ტექნოლოგიების დანერგვის სურვილი და მოთხოვნილება ეტაპობრივად იზრდება. შესაბამისად კომპანია ამ მიმართულებით ყველა შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობს.

საწარმოო სიმძლავრეების განვითარება

ბაზრის საერთო ზრდის ტენდენციების გათვალისწინებით, მზარდი რეალიზაციის მოცულობის პირობებში, იმისთვის რომ საქმიანობა იყოს მეტად ეფექტური, კომპანია საწარმოო ინფრასტრუქტურის (მათ შორის საწარმოო ხაზები) და მიწოდების საშუალებების განვითარებისთვის ინვესტიციების აკუმულირებაზეა ორიენტირებული.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები**წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:**

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	22,223	15,084	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13,959	10,480	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,113	2,617	შენიშვნა 2
ძირითადი საშუალებები ნეტო	7,371	4,714	შენიშვნა 3
გრძელვადიანი სესხები	9,079	5,143	შენიშვნა 3
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,208	1,062	შენიშვნა 4

შენიშვნა #1:

2019 წელს შემოსავლების ზრდა გამოწვეულია კომპანიის მიერ ბაზარზე პოზიციების გამყარებით, კლიენტებისთვის უკეთესი გადახდის პირობებისა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეთავაზებით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა შესაბამისი პროპორციით.

შენიშვნა #2:

კომპანიას 2018 წელთან შედარებით მკვეთრად გაეზარდა სავაჭრო მოთხოვნები, რაც გამოწვეულია რეალიზაციის მოცულობის ზრდით და კლიენტებისთვის უკეთესი საკონსიგნაციო პირობების შეთავაზებით.

შენიშვნა #3:

იმის გამო, რომ კომპანიის შემოსავლები 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა, საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად კომპანიას დასჭირდა დამატებითი ძირითადი საშუალებების შესყიდვა. 2019 წელს შესყიდული ძირითადი საშუალებებიდან 1,705 ლარი შეადგინა ახალი მანქანა-დანადგარების ღირებულებამ, ხოლო 507 ლარი დახარჯული იქნა დაუმთავრებელ მშენებლობაზე, სადაც იგეგმება ახალი საწარმოო ხაზის გამართვა. სასესხო ვალდებულებების ზრდა დაკავშირებულია ძირითად საშუალებებში განხორციელებულ კაპიტალურ დანახარჯებთან.

შენიშვნა #4:

კომპანიამ ძირითად მომწოდებელთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს 120 დღიან საკონსიგნაციო პერიოდს. ვალდებულებების მკვეთრი ზრდა უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულთან ახლოს განხორციელებულ მსხვილ შესყიდვებს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო ვადადამდგარი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ერთეული აშშ დოლარი	4,763.50	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.10%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310.80	1,265.2
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება.

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე და წარმოშვა მნიშვნელოვანი ბიზნეს რისკები რაც მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ეფექტურ მართვას.

2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული შეზღუდვების გამო კომპანიას არ შეუძლია საქმიანობა არც ერთი მიმართულებით, მენეჯმენტი და სამეთვალყურეო საბჭო ყოველდღიურ რეჟიმში უწყვეტად მონიტორინგს არსებულ გამოწვევებს და აუცილებელ საპასუხო ქმედებებს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები რაც იყო დაკავშირებული თანამშრომლების უსაფრთხო გადაადგილებასა და კლიენტების შეუფერხებელ მომსახურებასთან. მენეჯმენტის შეფასებით კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანებს რამაც შესაძლებელი გახადა კომპანიის შეუფერხებელი მუშაობა.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა კომპანიას არ შექმნია პრობლემა ვალდებულებების დროულად გასტუმების მხრივ და კონტრაგენტებისა თუ თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვა ხდებოდა შეუფერხებლად სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე. მენეჯმენტის შეფასებით მოკლევადიან პერსპექტივაში კომპანიის წინაშე არ დგას კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაულახავი პრობლემები.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში მრეწველობის დარგებში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებად გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლევან ჩიკვილაძე
დირექტორი

ნათია ბოლქვაძე
ფინანსური დირექტორი